საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - მარიკა არევაძე

კოლეგიის წევრი - მარინე ცუცქირიძე

კოლეგიის წევრი - ინგა ნებიერიძე

საჩივრის ავტორი: ნ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.08.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 067/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ შ. ხ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. ხ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 17 აგვისტოს საჩივრით მომართა ნ. ნ.-მა და მოითხოვა ადვოკატ შ. ხ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 24 აგვისტოს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს მისი შვილი, ა. ნ., რის გამოც ნ. ნ.-მა ადვოკატის დაქირავება გადაწყვიტა, რომელიც მისი შვილის ინტერესებს დაიცავდა სასამართლოს ყველა ინსტანციაში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, რომ ადვოკატის ძებნის პროცესში მისმა უმცროსმა შვილმა- გ. ნ.-მა რეკომენდაციით შესთავაზა მისი მეგობრის - თ. გ.-ს დედა - ადვოკატი შ. ხ. ნ. ნ. -ის განმარტებით, იგი დაუკავშირდა შ. ხ.-ს და სთხოვა შვილის ინტერესების დაცვა,

რაზეც ადვოკატმა თანხმობა განაცხადა და საადვოკატო მომსახურების საფასურად 1.800 ლარი დაასახელა. ნ. ნ.-ის მოხსენებით, მან ათი დღის განმავლობაში შ. ხ.-ს მის პირად ავტომანქანაში გადასცა 1.200 ლარი, ხოლო რამდენიმე დღეში დარჩენილი 600 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, საადვოკატო საქმიანობის დასაწყისში ადვოკატმა შ. ხ.-მ მას შეატყობინა, რომ მისი შვილი საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა გამომძიებელმა დააკავა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და უკანონოდ გასაღების მცდელობისთვის.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის აღნიშნულ საქმეში ჩართვიდან 7-8 დღის შემდეგ, მას საქართველოს გენერალური პროკურატურიდან დაუკავშირდნენ და მოახსენეს, რომ მრავალი მცდელობის მიუხედავად, შ. ხ.-სთან დაკავშირებას ვერ ახერხებდნენ. ამის შემდეგ ნ. ნ.-სა და ადვოკატს შორის საუბარი შედგა და როდესაც საჩივრის ავტორმა ადვოკატს გენერალური პროკორატურისგან მიღებული ინფორმაცია გადასცა, ადვოკატმა განუმარტა, რომ მან საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან უკვე მოაგვარა ყველაფერი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მისი შვილის საქმესთან დაკავშირებით მას განუმარტა, რომ საქმე რთულად იყო, რადგან ა. ნ.-ს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და უკანონოდ გასაღების მცდელობისთვის წაუყენეს ბრალი, ხოლო თავად ნარკოტიკული საშუალების ღირებულება 4.000000 ლარად შეფასდა. ნ. ნ.-ის განცხადებით, ადვოკატმა როგორც ოჯახს, ისე ბრალდებულს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული დანაშაულისთვის სასჯელის ვადა 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას მოგვიანებით განუმარტა, რომ აღნიშნული სიტუაციისთვის გამოსავალი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება იყო, რომლის მეშვეობით ამოღებული ნარკოტიკული საშუალების რეალური ღირებულება დადგინდებოდა და თუ ის გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაადგინა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ა. ნ.-ს სასჯელის სახით 6 წლიდან 12 წლამდე პატიმრობა შეფარდებოდა, ნაცვლად 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთისა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი ადვოკატს დათანხმდა დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებაზე. შ. ხ.-მ მას უთხრა, რომ ექსპერტიზის ჩასატარებლად 1.430 ლარი იყო საჭირო. ეს თანხა ნ. ნ. -მა ადვოკატს კვლავ მის კუთვნილ ავტომანქანაში გადასცა.

1.9 ნ. ნ.-ის განმარტებით, რამდენიმე დღის შემდეგ მას ადვოკატი დაუკავშირდა და მოახსენა, რომ ექსპერტიზის დასკვნა მიიღო, რომლის მიხედვითაც, ნარკოტიკული საშუალების ღირებულება ათჯერ შემცირდა ანუ 4.000000 ლარის ნაცვლად ექსპერტიზამ მათი ღირებულება 40.0000 ლარად შეაფასა, რის გამოც ადვოკატმა საჩივრის ავტორს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი შვილის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის ვადა 6 წლიდან 12 წლამდე შემცირდებოდა.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებისთის საჭირო 1.430 ლარის გარდა, ადვოკატმა მას მალევე დამატებით 190 ლარი მოსთხოვა და განუმარტა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოითხოვა ამ თანხის დამატება, რომელიც ადვოკატმა ბიუროს პირადი ანგარიშიდან გადაურიცხა. ნ. ნ.-ის განმარტებით, მან ეს თანხა ადვოკატს გადასცა, კვლავ მის ავტომანქანაში.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას უთხრა, რომ იგი კარგად იცნობდა მოსამართლეს, რომელიც ა. ნ.-ის საქმეს განიხილავდა და მას სთხოვდა, რომ მისთვის პატიმრობის ვადად მინიმალური ანუ 6 წელი მიესაჯა.

1.12 ნ. ნ.-ის განმარტებით, დროთა განმავლობაში შ. ხ. მათ ზარებს თითქმის აღარ პასუხობდა, ხოლო ა. ნ.-ის საქმეზე დანიშნული სასამართლო სხდომების დაწყებამდე 2-3 წუთით ადრე მიდიოდა. ამასთან, მოსამართლის მითითებით, პანდემიის არსებობის გამო მის არცერთ ნათესავს სხდომაზე დასწრების უფლებას არ აძლევდა.

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, ა. ნ. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხვა ბრალდებულის მეშვეობით რეკავდა და ამბობდა, რომ ადვოკატი მას ყურადღებას არ აქცევდა, რის გამოც მის შეცვლას ითხოვდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა განმარტა, რომ ა. ნ. ტყუოდა და „სისულელეებს ამბობდა“, ხოლო თუ მას სურდა, რომ პატიმრობის ვადად მინიმალური დრო შეფარდებოდა, დანაშაული უნდა ეღიარებინა და პროკურატურასთან ეთანამშრომლა. ნ. ნ.-ის განცხადებით, კლიენტის ინტერესების დაცვის ნაცვლად ადვოკატმა შ. ხ.-მ პროკურატურასთან თანამშრომლობა გადაწყვიტა და ისინი ა. ნ.-ს ერთად აიძულებდნენ, რომ ბრალდება ეღიარებინა.

1.14 ნ. ნ.-ის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ ადვოკატმა მათ ოჯახს განუმარტა, რომ განაჩენის გასაჩივრებით შესაძლებელი იქნებოდა უკეთესი შედეგისთვის მიეღწიათ და სააპელაციო სასამართლოს ერთი წლით მაინც შეემსუბუქებინა ა. ნ. ისთვის მისჯილი პატიმრობის ვადა, გასჩივრებისთვის კი ერთი თვის ვადა ჰქონდათ. საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი დათანხმდა ადვოკატის ამ შეთავაზებას, რისთვისაც ადვოკატმა დამატებით მოითხოვა 850 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული თანხა მან ადვოკატს 28-29 დეკემბერს გადასცა. იანვრის დასაწყისში კი ადვოკატმა უთხრა, რომ უკვე შეიტანა სააპელაციო სასამართლოში საჩივარი, თუმცა 200 ლარი დააკლდა და თანხა სასწრაფოდ უნდა დაემატებინათ. ნ. ნ.-მა ადვოკატს ორ დღეში გადასცა აღნიშნული 200 ლარი, ხოლო 10 იანვრამდე ვადაში ადვოკატმა მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ შეიტანა საჩივარი და უნდა დალოდებოდნენ სააპელაციო სასამართლოში როდის ჩაინიშნებოდა საქმის განხილვა.

1.15 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2022 წლის 20 იანვრს მან სააპელაციო სასამართლოში იკითხა ჩანიშნული იყო თუ არა ა. ნ.-ის საქმეზე სხდომა და მას განუმარტეს, რომ შ. ხ.-ს მიერ არანაირი საჩივარი არ იყო წარდგენილი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დასანიშნად თანხა არ იყო საჭირო.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს სასამართლოდან ყოველ დღე ურეკავდნენ და განუმარტავდნენ, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის ბოლო ვადა 2022 წლის 24 იანვარი

იყო, რომლის გასვლის შემდეგაც სააპელაციო საჩივარს აღარ მიიღებდნენ, მან კი აღნიშნული ვადა გაუშვა და 2022 წლის 27 დეკემბერს დაწერა განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი შეურაცხადია, რის გამოც მოგვიანებით წარადგენდა საჩივარს.

1.17 საჩივრის ავტორის განმარტებით, ერთ-ერთი სასამართლო სხდომის შემდეგ ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ ა. ნ.-ს თვითდაზიანებები ჰქონდა მიყენებული, რის გამოც იგი მოგვიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

1.18 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის ამგვარი ქმედებების გამო მან იგი ჩამოაშორა საქმეს და მის ნაცვლად სხვა ადვოკატი დაიქირავა, რომელმაც სააპელაციო სასამართლოში შეიტანა საჩივარი. ასევე, მისი დახმარებით ა. ნ. ფსიქიატრიული პრობლემების გამო სასჯელაღსრულების მე-18 დაწესებულების საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა. შ. ხ.-ს კი სთხოვა ყველა დოკუმენტი დაებრუნებინა, რომელიც საქმის წარმოების დროს მის ხელთ არსებობდა, ადვოკატმა ორი კვირის შემდეგ აღნიშნული დოკუმენტები დაუბრუნა ნ. ნ. მისი განმარტებით, როდესაც იგი დოკუმენტებს გაეცნო ნათელი გახდა, რომ ადვოკატი იტყუებოდა და მას არც სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჰქონდა დამოუკიდებელი ექსპერტიზა ჩატარებული და არც სააპელაციო სასამართლოში ჰქონდა საჩივარი შეტანილი.

1.19 საჩივრის ავტორის განმარტებით, ახალი ადვოკატის დახმარებით სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოება დაიწო და ჩატარდა პირველი სხდომა, რომელსაც თავად ნ. ნ. ესწრებოდა, თუმცა აღნიშნული სხდომა გადაიდო, რადგან ა. ნ. საავადმყოფოში მკურნალობდა და ამასთან, ქსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა დაცვის მხარემ.

1.20 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მათგან მიიღო 1.800 ლარი საადვოკატო მომსახურებისთვის, 1.620 ლარი სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩასატარებლად, ხოლო 1.050 ლარი სააპელაციო სასამართლოში საჩივრის წარდგენის მიზნით. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნ. ნ. ადვოკატ შ. ხ.-ს დისციპლინირებას ითხოვს.

2. საჩივრის ავტორის მოწმის პოზიცია:

2.1 2022 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე, საჩივრის ავტორის შვილმა, მოწმემ გ. ნ.-მა განმარტა, რომ როდესაც მამამისი, ნ. ნ. ადვოკატ შ. ხ.-ს მის ხელთ არსებული დოკუმენტების დაბრუნებას სთხოვდა, ადვოკატი მიდიოდა მათთან და დოკუმენტებს აჩვენებდა, ამასთან, ეკითხებოდა თუ რისთვის სჭირდებოდათ ეს საბუთები. უშუალოდ საბუთების გადაცემას კი თავს არიდებდა და დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ადვოკატის ძმამ მოწმე გ. ნ.-ს გადასცა აღნიშნული დოკუმენტები. ხოლო როდესაც მას გაეცნენ აღმოაჩინეს, რომ ყველა საბუთი ა. ნ.-ის საქმესთან დაკავშირებით არ იყო და საქმეს ერთვოდა სხვა საქმის მასალებიც.

2.2 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი შ. ხ. მამასა და ძმას მან გააცნო, რადგან ბავშვობიდან ოჯახური ურთიერთობა ჰქონდა ადვოკატის შვილთან, თ. გ.-სთან, რის გამოც ა. ნ.-ის ადვოკატად მისი დაქირავება გადაწყვიტეს.

2.3 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ა. ნ.-ის საქმეში მას შემდეგ ჩაერთო, რაც მისი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებიდან გარკვეული პერიოდი გავიდა.

2.4 გ. ნ. განაცხადებს, რომ მისი პოზიციით, ზედმეტად არარეალური ბრალდება იყო მისი ძმის მიმართ წარდგენილი, რადგანაც ა. ნ.-ს ფიზიკურად ვერ შეეძლო 4 000 000 ლარის ღირებულების დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვა.

2.5 მოწმე განაცხადებს, რომ როდესაც ნ. ნ. ადვოკატთან კომუნიკაციას ვერ ამყარებდა, შემდეგ იგი ადვოკატის შვილთან დაკავშირებას ცდილობდა, რომელიც ნელ-ნელა ასევე ჩამოშორდა მას და ვეღარ მყარდებოდა მათ შორის კონტაქტი.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატ შ. ხ.-ს ეთიკის კომისიის მიერ საჩივრის შესახებ ეცნობა სატელეფონო შეტყობინების გზით 2022 წლის 12 სექტემბერს და საჩივარი ჩაბარდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში მითითებული ელ.ფოსტის მეშვეობით, იმავე დღეს. ადვოკატს არ უსარგებლია საქმეზე ახსნა-განმარტების მიცემის უფლებით. ადვოკატთან საპროცესო კოლეგიის ზეპირი სხდომა ჩაინიშნა 2022 წლის 20 სექტემბერს, თუმცა ადვოკატი სხდომას არ დაესწრო. კოლეგიამ ადვოკატთან კიდევ ერთხელ ჩანიშნა საპროცესო კოლეგიის ზეპირი სხდომა 2022 წლის 27 სექტემბერს, ადვოკატი სხდომას არც ამჯერად დაესწრო.

IV სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი შ. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

4.2 ნ. ნ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 17 აგვისტოს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ხ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ შ. ხ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მისი შვილის, ა. ნ.-ის საქმეს აწარმოებდა არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდისიერად; ადვოკატი კლიენტის ოჯახს საქმის მსვლელობის შესახებ არ აწვდიდა ინფორმაციას; ადვოკატი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ ნახულობდა ა. ნ.-ს და ადვოკატმა გაუშვა სააპელაციო სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადა.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ შ. ხ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

6.2.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2); ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.3 „ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ასევე, ადვოკატი ვალდებულია იქონიოს სისტემატური კომუნიკაცია კლიენტთან საქმის წარმოების პროცესში, მასთან წინასწარი შეთანხმებისამებრ დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

6.4 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10).

6.5 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები). თუმცა პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების

ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

6.6 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატის კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხის განსაზღვრა: (1) ადვოკატმა კლიენტთან შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება; და (2) ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია შესაბამისობაში იყოს კანონთან. სხვა მხრივ, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია, არ შეიძლება შეფასების საგანი გახდეს, რადგან ადვოკატი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2). აღნიშნული კი გულისხმობს დაცვის სტრატეგიის დამოუკიდებლად განსაზღვრასაც, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან.

6.7 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, დაადასტუროს, რომ სწორედ ადვოკატმა შ. ხ.-მ არაკვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა სასამართლოში.

6.8 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებით იკვეთება, რომ ადვოკატმა გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა კლიენტის ინტერესების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, განახორციელოს აუცილებელი საპროცესო მოქმედებები, რაც კლიენტის ინტერესებისთვისაა სასარგებლო. ადვოკატის ეთიკურობის შეფასებისას კომისიისთვის ამოსავალი წერტილია ადვოკატი კლიენტს კეთილსინდისიერ მომსახურებას სთავაზობდეს და მისი საუკეთესო ინტერესის დაცვაზე იყოს ორიენტირებული, მათ შორის მოიძიოს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოში, თუმცა კოლეგიის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს შეაფასოს, ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხი, მათ შორის მიუთითოს, კონკრეტული მტკიცებულება, რაც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ უნდა მოიძიოს ადვოკატმა.

6.9 საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომელიც დაკავშირებულია ადვოკატის მხრიდან საპროცესო მოქმედებების განუხორციელებლობასთან და სასამართლო პროცესებზე არ გამოცხადებასთან კოლეგიამ არ გაიზიარა, რადგან საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტრუდება, რომ ადვოკატი ესწრება სასამართლოს სხდომებს და სხდომებზე ახორციელებს აქტიურ საადვოკატო საქმიანობას - წარადგენს მტკიცებულებებს და არგუმენტაციას, კლიენტის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. ადვოკატის საქმეში აქტიური ჩართულობის შედეგად, ჩატარდა ექსპერტიზა, რომლის შედეგადაც შეიცვალა ამოღებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობა და არსებითად შემსუბუქდა სასჯელი.

6.10 საჩივრის ავტორის განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს - კლიენტის ოჯახის წევრს, მამას, საქმეში ჩართვისთანავე მიაწოდა პირველადი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით, კერძოდ, რომელი დანაშაულის ჩადენისთვის დააკავეს მისი შვილი. ადვოკატმა ნ. ნ.-ს ასევე მიაწოდა ინფორმაცია საქმის სირთულის და მისი

მსვლელობის შესახებ. საჩივრის ავტორი ინფორმირებული იყო მისი შვილის სასამართლოს სხდომების შესახებ - თუმცა პანდემიიდან გამომდინარე, სხდომებს ვერ ესწრებოდა. ადვოკატის მიერ განხორციელდა კლიენტის ოჯახის ინფომირება ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლოს შესახებ, რაც განხორციელდა. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ადვოკატი თავად დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და დეტალურად მოახსენა როგორც ექსპერტიზის შედეგი, ასევე მისი გავლენა საქმის მსვლელობაზე. ამასთანავე თავად საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა მას მიაწოდა ინფორმაცია შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორი, რომელიც არის არა კლიენტი, არამედ კლიენტის ოჯახის წევრი - შვილის საქმის მიმდინარეობის შესახებ ფლობდა ყველა არსებით ინფორმაციას.

6.11 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაშვება არ დასტურდება, რადგანაც საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისი შვილის საქმე ამჟამად სააპელაციო სასამართლოში განიხილება, ეს კი ადასტურებს იმას, რომ შ. ხ.-მ კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა დაიცვა და სააპელაციო სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადა არ გაუშვია, რადგანაც სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში („საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, მუხლი 293.1) და ამ ვადის დაუცველობა შემდგომ გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოში საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას.

6.12 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატი შ. ხ. კლიენტს უწევდა კვალიფიციურ მომსახურებას და კლიენტის ოჯახს აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ და ადვოკატ შ. ხ.-ს არ დაურღვევია („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) და 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 და 8.6).

6.13 კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა საქმიდან ჩამოშორების შემდეგ გვიან დააბრუნა მის ხელთ არსებული დოკუმენტები და არ გამოუმუშავებია მიღებული თანხები (საადვოკატო მომსახურების; საქმის წარმოების ხარჯები), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის ფარგლებში:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“

6.14 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #037/14).

6.15 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ნ. ნ.-მა და მისმა შვილმა- მოწმემ გ. ნ.-მა განმარტეს, რომ შ. ხ.-მ მათ მოთხოვნიდან რამდენიმე კვირაში გადასცა ა. ნ.-ის საქმესთან დაკავშირებული

ყველა ის საბუთი, რომელიც მის ხელთ აღმოჩნდა წარმომადგენლობის პროცესში. შესაბამისად, ადვოკატის ეთიკური ვალდებულება - კლიენტს დაუბრუნოს საქმის მასალები, შესრულებულია.

6.16 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს გადასცა თანხები: ჰონორარი 1800 ლარი; 1.620 ლარი სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩასატარებლად, ხოლო 1.050 ლარი სააპელაციო სასამართლოში საჩივრის წარდგენის მიზნით.

6.17 ეთიკის კომისია იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

6.18 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

6.19 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატისათვის თანხის გადაცემის ფაქტი უნდა დადასტურდეს წერილობითი მტკიცებულებით, რომელიც საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია. შესაბამისად, ნ. ნ.-ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში, ადვოკატ შ. ხ.-ს მიერ თანხის მიღება არ დასტურდება. შესაბამისად, ადვოკატს არ დაუღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით დადგენილი ეთიკური ვალდებულება.

6.20 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N067/22 ადვოკატ შ. ხ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/